საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 19 ოქტომბერი 2004 №243 (2264)   ფასი 50 თეთრი



# 4:2
## სლოვაკეთთან
### კოპალეიშვილის 19-წლამდელებმა მასპინძლებს მოუგეს



გიორგი ჭელიძემ ტურნირი ორი გოლით დაიწყო



## დინამოსთვის ხუთშაბათს ლოკომოტივი ეროვნული იქნება

# მშვიდობით!

## ბიძინა ბევრის მასწავლებელო, შენნაირი შენ იყავი, სხვა არავინ იქნება

*დაბალი, ჯმუხი, სულ ერთიანად მაინც ხმელი, ნამდვილი ძველი კახელი გლეხკაცი, ვინც ძიუდო ისე იცოდა, როგორც არავინ. ბიძინა მაზიაშვილი ქვეყნის კიდეზე მიჰყავდათ ხოლმე პატივითა და დიდებით. დაუსხდებოდნენ წინ ძიუდოს მშობელი ქვეყნის ბიჭები და კაცები და უსმენდნენ მის ლაპარაკს. სწავლობდნენ მის ფანდებს და ამბობდნენ, აი, ნამდვილი მოძღვარიო. აი, კაცი, ვინც ძიუდოში მოიტანა ქართველთა ძველი ხელოვნებაო. ასე გამოუვიდა დიდ მასწავლებელს: იაპონელებს ქართული ჭიდაობა ასწავლა, ქართველებს — ძიუდო. ორივეს მაგრა ასწავლა... ძალიან მაგრა...*

*ბიძინა მაზიაშვილი დღეს საბოლოოდ ტოვებს თავის სამყაროს, რომელსაც ძალიან დიდი კვალი დააჩნია...*





# დინამო და ქომაგი: გპირდებით ანშლაგს, ველით თამაშს

**თბილისის „დინამოს“ ისტორიაში, მგონი, პირველადაა — „დინამომ“ საერთაშორისო საშინაო მატჩისთვის მზადება არა დიღმის ბაზაზე, არამედ სხვაგან, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო. „დინამო“ ზეგ სწორედ ამ სტადიონზე დაიწყებს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშს — ჩვენები ფრანგულ „სოშოს“ დაუხვდებიან**



„დინამოს“ ფრანგებისთვის მშობლიურ „ეროვნულზეც“ შეეძლო ემასპინძლა, მაგრამ თბილისის მერიამ თუ საკრებულომ კლუბს უსაფრთხოების გარანტია რომ ვერ მისცა, რაღა გაეწყობოდა — „დინამომ“ საშინაო სარბიელად „ლოკომოტივი“ ირჩია.

...გუშინ გია გეგუჩაძემ და მისმა შეგირდებმა „ლოკომოტივის“ ისე რა გაზონზე დაახლოებით საათნახევარი გაატარეს. ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, დიდი დატვირთვა არ ჰქონიათ — უმეტესწილად ბურთიანი სავარჯიშოები იყო — ნაირნაირი კომბინაციები, კარში დარტყმები და ხელბურთი. რაც მთავარია, იყო ხალისი და მონდომება, მწვრთნელის მითითების ზუსტად შესრულება და იმედიანი განწყობა.

გუნდთან ერთად გუშინ უკვე მეოთხედ ივარჯიშა ახლახან გამოჯანმრთელებულმა მეკარე ირაკლი ზოიძემ, თუმც მას მკურნალობის კვალი აშკარად ეტყობა და „სოშოსთან“ ძირითადში, ალბათ, ვერ ითამაშებს. მთელი დატვირთვით ივარჯიშა ასევე ჯაბა კანკავამ. ის დისკვალიფიკაციის გამო ხუთშაბათის მატჩს გამოტოვებს, მაგრამ გუშინ ისიც ბოლომდე დაიხარჯა. სტადიონზე საერთოდ არ გამოჩენილა „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით კვირკველია, რომელიც ერთი კვირის წინ სანაკრებო შეკრებისას დაშავდა და ვერც „სოშოსთან“ ითამაშებს.

და კიდევ, გუშინდელი ვარჯიშის წინ „დინამოს“ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის წევრები შეხვდნენ და მნიშვნელოვანი მატჩის წინ შეაგულიანეს, წარმატება უსურვეს და ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერას, ხელის წაშველებას დაჰპირდნენ.

დიდი მატჩის წინ გუნდის ქომაგთან შეხვედრა, თუნდაც ათწუთიანი, მაგრამ სუფთა და ალალი, თავისთავად აღსანიშნი და საყურადღებო ფაქტია.

„ფეხბურთი ხომ ქომაგისაა, „დინამო“ ხომ ჩვენია, ჩვენ კი ამ ტრიბუნის პირთამდე შევსებას გპირდებით“ — ასეთი სიტყვებით შეაცილეს ქომაგებმა გუნდი „ლოკომოტივის“ მოედანზე...

**კობა ინასარიძე**

# ცუღლუტობა არ იყოს!

## სოშო დიდუბეში და ვაკეში იყიდება

**21 ოქტომბერს** უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში თბილისის „დინამო“ ფრანგულ „სოშოს“ მასპინძლობს. მატჩი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება და ტრიბუნები ალბათ გაივსება.

ბილეთების გაყიდვა ამ მატჩზე დღეს 11 საათიდან დაიწყება დიდუბეში და ვაკეში — ეროვნული და „ლოკომოტივის“ სტადიონების სალაროებში. ბილეთის ფასია 5, 7 და 10 ლარი.

თუმც „დინამო“—„ვისლას“ მატჩისას, თამაშის დღეს იყო შემთხვევები, როცა სალაროში ხუთლარიან ბილეთებს შვიდ ლარად ყიდდნენ. დღეს „დინამოს“ ხელმძღვანელობა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს ხვდება „სოშოსთან“ მატჩის საორგანიზაციო საკითხებზე და შეხვედრის ერთ-ერთი თემა ისიც იქნება, რომ ბილეთები გადამყიდველების ხელში არ მოხვდეს და მოლარეებმაც არ იცუღლუტონ.

**დავით თავართქილაძე**

**di_na_mo_fan@hotmail.com**

# ყველამ ერთად დინამო! დინამო! დინამო!

დღეს, ხვალ, ზეგ კი ჰაიდა სტადიონზე! ბოლო... აუჰ, ველარ ვითვლი რამდენი წელია, ქართულ კლუბს ევროთასის ამ ეტაპამდე არ გაუღწევია.

და თუ რას ნიშნავს ქართული ფეხბურთისთვის ზეგინდელი, მერე „ნიუკასლთან“, „სპორტინგთან“, „პანიონიოსთან“ და ვინ იცის, ეგებ მეთექვსმეტედფინალური მატჩები, ყველამ ვიცით. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და ჩვენს ფოსტაში მოსული წერილები წავიკითხოთ.

LIKVIDATORI: გაუმარჯოს სარბიელს!

ვისლასთან ხომ დაეხმარა ჩვენი ყვირილი დინამოს!

სოშოსთან ორჯერ მეტი უნდა ვიყვიროთ. კი არ უნდა ვიყვიროთ, უნდა ვიღრიალოთ ბოლო ხმაზე.

ვისლას მერე ორი კვირა ხმა არ მქონდა, მუნჯივით დავდიოდი. მოვიგოთ და, სამი კვირა ნუ მექნება, არაუშავს.

ქართული ფეხბურთი ცოცხლდება, ხალხო, ქართული ფეხბურთი.

ერთი თხოვნა მაქვს სარბიელთან, თამაშამდე ნუ დაბეჭდავთ უაზროდ პესიმისტურ და კრიტიკულ წერილებს. გაუფრთხილდით ჩვენს ნერვებს, და საერთოდ, ამ ხალხის ვერ გავიგე, ან გული სად აქვთ, ან ნერვი?

მოვიგებთ!!!!!!!!!!!!!!!!!!!

LIKVIDATOR-ს გაუმარჯოს! „სოშოსთან“ თამაშიდან სამი კვირის თავზე ვინმე ხმადაკარგული კაცი თუ დავინახე, მეცოდინება, რომ შენ ხარ. თხოვნაზე კი უარი უნდა გითხრა, თუ უაზროდ პესიმისტური წერილი მოგვივიდა, დავბეჭდავთ, მაგრამ უხალისოდ. პესიმისტს კი ვუპასუხებ, რომ ჯგუფში გასვლით უკვე ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა და ამდენად პესიმიზმი უადგილოა.

A.METREVELI: ევროსარბიელზე შემორჩენილთაგან ეთნიკურად ყველაზე ერთფეროვანი ჩვენი დინამოა. ჰო, მართლა, ატლეტიკი დამავიწყდა. მერე კიდევ იტყვიან, ჩვენ და ბასკები ნათესავები არ ვართო და ეს მხოლოდ ნითლების ხრიკი იყოო. თუმცა ეს სოშოსთან არაფერ შუაშია, ისე მომადგა ენაზე.

რაც შეეხება ფრანგებს, ჟირესმა მაპატიოს და, სოშოს დედაც გვიტირებია...

ხუთშაბათს ფეხბურთელებმა კი არა, ჩვენ უნდა მოვიგოთ, ვისაც ჯერაც გვიძგერს გული. ერთხელ მაინც უნდა ვათქმევინოთ ფეხბურთელებს, ქომაგმა მოიგო, ჩვენ რა შუაშია ვართო. აბა, ყველამ ერთად: დინამო! დინამო! დინამო!

კი, ვიყვიროთ, როგორ არ ვიყვიროთ, მაგრამ მოგებული თამაშის მერე ფეხბურთელებმა როგორ უნდა თქვან, ჩვენ რა შუაში ვართო, წარმოდგენა მიჭირს. ჰო, ბილბაოელების გახსენებაზე, მათ, შენც გეცოდინება, აკრძალული აქვთ გუნდში არაბასკის აყვანა, ჩვენთან კი ეგ წესი არ არის, თუმცა ეთნიკური ერთგვაროვნებით მსგავსება, რა თქმა უნდა, დიდია.

და დღეისთვის ბოლო წერილიც, რომლის ავტორიც სცენაზე უნდა იდგეს და მონოლოგებს კითხულობდეს:

AKA MIKELA: გამარჯობა და გამარჯვება შენ, საქართველოვ! ქვეყანავ, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარხარ! როგორ განამტკიცებს ხოლმე ეს ოხერი ფეხბურთი სიყვარულის გამომჟღავნებას. მადლობა იმ ინგლისელს, რომელმაც ეს სპორტი მოიგონა. მადლობა ღმერთს, რომ ქართველებს მისი თამაშის ნიჭი მოგვცა და მადლობა „დინამოს“, რომელმაც ამის წერის საბაბი მომცა.

**WEB ოსტატი ბუარა**

**di_na_mo_fan@hotmail.com**

### ინგლისი

პრემიერლიგა. IX ტური

პორტსმუთი 1:0 ტოტენჰემი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. VIII ტური

აინტრახტი 1:2 მიუნხენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XII ტური

გრენობლი 0:0 სედანი

### პორტუგალია

სუპერლიგა. VI ტური

სეტუბალი 1:0 აკადემიკა

### ირლანდია

პრემიერლიგა გადადებული მატჩები

სენტ პატრიკსი — დროჰედა გადაიდო

უოტერფორდი 1:1 ბოჰემიანსი

### იტალია

სერია B. VIII ტური

ჯენოა 2:1 ტრევიზო

სერია C/B. VI ტური

ტერამო 1:1 რეჯანა

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი

ზვოლე 1:1 დორდრეხტი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა გადადებული მატჩი

ილიჩოვეცი 3:0 ზაკარპატია

# რეინჯერსმა შოთას ახალი კონტრაქტი შესთავაზა



**ბრიტანულმა** სააგენტო ბი-ბი-სი-მ შოთა არველაძეზე მასალა გამოაცხო — „რეინჯერსი" ქართველ ფორვარდს კონტრაქტს ალბათ არ გაუხანგრძლივებს და არველაძე იანვარში გადაწყვეტს, სად გააგრძელოს კარიერაო.

შოთას მოქმედი კონტრაქტი „რეინჯერსთან" სეზონის ბოლოს, ზაფხულში ეწურება. გუშინ არველაძეს გლაზგოში დავურეკეთ და BBC-სგან განსხვავებული ინფორმაცია შევიტყვეთ.

— დღეს ჩემს აგენტ ივან ბენეშს ველაპარაკე და მან მითხრა, რომ „რეინჯერსს" ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება სურს. თუმც ბენეშმა ისიც თქვა, ჯერ პირობები უნდა შევათანხმოთ „რეინჯერსთანო" — გვითხრა არველაძემ.

**დავით თაგართქილაძე**

ბოლნისის „სიონი" უმწვრთნელოდ დარჩა. გუშინ ვარლამ კილასონიამ განცხადება დაწერა და გუნდის მწვრთნელობიდან გათავისუფლება ითხოვა. ხელმძღვანელობამ კილასონიას თხოვნა დააკმაყოფილა.

ვარლამ კილასონია „სიონის" დატოვებას რომ აპირებდა, ამაზე შაბათს, ბოლნისელთა გორში წაგების შემდეგ ითქვა, თუმც ეს ინფორმაცია მაშინ არავინ დაადასტურა. მხოლოდ ის შევიტყვეთ, კილასონია და „სიონის" უფროსობა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ერთმანეთს ორშაბათს უნდა შეხვედროდნენ. შეხვდნენ და...




— დიახ, მართალია, „სიონს" ორიოდ საათის წინ ოფიციალურად გამოვემშვიდობე, ნივთები ჩავალაგე და ახლა შინ მივდივარ — გვითხრა გუშინ ვარლამ კილასონიამ.

— მაინც რა მოხდა, რატომ დატოვეთ გუნდი?

— ზედიზედ რამდენიმე წაგებული მატჩის შემდეგ ჩავთვალე, რომ „სიონში" ჩემი მუშაობა წარუმატებელი იყო. ავდექი და წამოვედი.

— სულ ესაა „სიონიდან" თქვენი წასვლის მიზეზი?

— დიახ, სხვა არაფერი.

— ხელმძღვანელობას როგორ დაშორდით?

— როგორც წესი და რიგია, მეგობრულად.

— ითქვა, რომ კილასონიას ფეხბურთელები დარჩენას სთხოვდნენო.

— ეგ უკვე მათ ჰკითხეთ. ისე, კი ვიცი, ჩემი წამოსვლა ბიჭებს არ გახარებიათ. მათაც მეგობრულად დავემშვიდობე.

— და ახლა რას აპირებთ?

— დასვენებას, სწავლას. საფიქრალი ბევრი მაქვს.

— სხვა კლუბები ხომ არ გეპატიჟებიან?

— არა, ჯერჯერობით არანაირი წინადადება არ მიმიღია.

— „სიონს" ახლა ვინ უთავკაცებს?

— ვერ გეტყვით. შესაძლოა, მეორე წრის ბოლომდე გუნდი გიორგი ყიფშიძეს ჩააბარონ. თუმცა ზუსტად არ ვიცი.

ჩვენ კი შეგახსენებთ: ბოლნისის „სიონი" ჩემპიონატის დაწყებიდან მეოთხე გუნდია, ვისაც მწვრთნელის შეცვლა მოუწევს. აქამდე მწვრთნელები „დილადან", „ზესტაფონიდან" და „კოლხეთიდან" დაითხოვეს თუ წავიდნენ. ამ სამეულმა ახალი მწვრთნელები უკვე დანიშნა, ახლა „სიონის" ჯერია.

**ბოგა ინასარიძე**

# ძველ ლადო ბურდულს ძალიან მალე ნახავთ

## ლოკომოტივში, ინგლისში თუ რუსეთში?

23 წლის ლადო ბურდულს სათამაშო პრაქტიკა კი აკლია, მაგრამ ალენ ჟირესმა ეროვნულ ნაკრებში მაინც უხმო და უკრაინასთან მეორე ტაიმში ათამაშა. ბურდულს ნაღდად აქვს იმის პოტენცია, რომ იმაზე გაცილებით უკეთ ითამაშოს, ვიდრე ამას ახლა აკეთებს — დასტურად ლადოს უწინდელი მატჩებიც გამოდგება თბილისის „დინამოში" თუ ნაკრებში.



ბურდულმა მიმდინარე სეზონი „დინამოში" დაიწყო, მაგრამ ოქტომბრისთვის „ლოკომოტივში" გადავიდა. ლადოსთან საუბარიც აქედან დავიწყეთ

— როგორ ფიქრობ, რატომ ვერ დამკვიდრდი გია გეგუჩაძის „დინამოში"?

— გეგუჩაძის „დინამოში" დამკვიდრებული კი ვიყავი, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდოდა. მე და გეგუჩაძემ ვისაუბრეთ და მწვრთნელს ვთხოვე, სხვა გუნდში გავეშვი. მოკლედ, „დინამოდან" საკუთარი ინიციატივით წამოვედი უწყვეტი სათამაშო პრაქტიკისთვის, რისი საშუალებაც „დინამოში" არ მქონდა.

— „დინამოში" რომ ამის საშუალება არ გექნებოდა, ეს გეგუჩაძემ გითხრა?

— გეგუჩაძემ მითხრა, რომ ძირითადში თამაში მომიწევდა, მაგრამ „დინამოში" ახლა ისეა, რომ გუნდი ერთი და იგივე შემადგენლობით ფაქტობრივად არ თამაშობს, მე კი მინდოდა, რომ სისტემატურად მეთამაშა ძირითადში.

— როდის ვიხილავთ ძველ ლადო ბურდულს?

— ძალიან მალე. ვფიქრობ, ცუდად არც უკრაინასთან მითამაშია, თუმც ორი-სამი მატჩის უწყვეტად თამაში კიდევ მჭირდება, ოპტიმალურ ფორმამდე ცოტაღა დამრჩა.

— წლეულს თანამეგობრობის თასის მოპოვების შემდეგ კიევის „დინამოში" იყავი გასინჯვაზე, ყველაფერი კარგად მიდიოდა, გუნდს ესპანურ შეკრებაზეც გაჰყევი, მაგრამ კოჭის ტრავმა მიიღე და საქართველოში დაბრუნდი — უცხოეთში ხელახლა წასვლას როდის შეძლებ?

— ამ ტრავმამ ხელი ძალიან შემიშალა, თითქმის ნახევარი წელი გამიცდა, კოჭი, ფაქტობრივად, ხელახლა ავიწყვე. უცხოეთში წასვლის დრო კი ჩემთვის მართლაც მოვიდა, რადგან საქართველოს ჩემპიონატში სამი-ოთხი წელი რომ ითამაშებ, უკვე ბევრია. თანაც გარემოს გამოცვლა აუცილებელია, რათა თამაშის ხალისი გქონდეს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონს „ლოკომოტივში" არ ჩაამთავრებ?

— „ლოკომოტივში" იჯარით ვარ ზამთრის შესვენებამდე, ჯერაც „დინამოს" ვეკუთვნი. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და ყველაფერი კარგად წამივა.

— „მანჩესტერ სიტის" ვარიანტი გამოირიცხა?

— არა. არის კიდევ სხვა ინგლისური გუნდების ვარიანტები, შესაძლოა, რუსეთიდანაც იყოს დაინტერესება.

— „ლოკომოტივში" სერიოზული გუნდის გაკეთებას აპირებენ — ეს, ცხადია, შენც იცი...

— ზამთრის შესვენებისთვის „ლოკომოტივში" მართლაც სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებენ და ჩემი „ლოკომოტივში" დარჩენაც არაა გამორიცხული. ისე, „ლოკომოტივს" ამ შემადგენლობითაც შეუძლია პირველ-მეორე ადგილებისთვის ბრძოლა.

— ერთიც — მაინც სადაა ლადო ბურდულის ადგილი, ნახევარდაცვის ცენტრში თუ მარჯვენა ფლანგზე?

— რა თქმა უნდა, მარჯვენა ფლანგზე. ბოლო დროს პოზიციების ცვლამ მომიწია და ეს მართლაც არაა ადვილი. ჟირესიც მარჯვნივ მათამაშებს და მისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის — სათამაშო პრაქტიკა მაკლდა და ნაკრებში მაინც გამომიძახა.

**დავით თაგართქილაძე**

# ლიტვაც და... ყოჩაღ

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენებმა შესარჩევი ციკლის მასპინძელ სლოვაკეთს 4:2 მოუგეს.

ვახტანგ კოპალეიშვილი სლოვაკეთში უხასიათოდ გაემგზავრა — ფეხბურთელების „დამალვისთვის" თბილისის „დინამოზე" გამწყრალი მწვრთნელი გადადგომითაც იმუქრებოდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმისგან მაინც შეიკავა თავი.

განვითარებულმა მოვლენებმა ბიჭები გააბრაზა თუ რა მოხდა, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია — „კოპალას" გუნდმა მასპინძლებს კუდით ქვა ასროლინა, არადა, მე-4 წუთზევე გაშვებული გოლით აგებდნენ. ჩვენებმა პირველივე ტაიმში შეძლეს ანგარიშის შეტრიალება და ხუბუტიას პენალტით და ჟღენტის გოლით დაწინაურდნენ.

მეორე ნახევარიც ქართველების იყო — ფინელმა მსაჯმა 64-ე წუთზე ერთხელაც დააფიქსირა სლოვაკთა საჯარიმოში წესების დარღვევა. თერთმეტმეტრიანი ამჯერად ბათუმელმა გიორგი ჭელიძემ შეასრულა — 3:1.

მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმც ქალაქ სენეცის სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა ბოლო ხუთ წუთში ორი გოლის ნახვა მოასწრო — 86-ე წუთზე ისევ ჭელიძემ გაიტანა, წამებში კი შნეგონმა შეამცირა სხვაობა და თამაშიც ასე დამთავრდა — 4:2.

ხვალ ქართველები მალტის 1:0 მძლეველ ლიტვას ეთამაშებიან და თუ მოიგეს, ვადამდე გაინაღდებენ ჯგუფიდან გასვლას.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ლიტვა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

საქართველოს 16 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე
9 ტური
გადადებული მატჩები

**საგარეჯო 2:2 ოლიმპი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:10 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 17:5 | 19 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:7 | 19 |
| ამერი | 9 | 6 | 0 | 3 | 26:6 | 18 |
| დინამო 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 20:16 | 16 |
| კახეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:17 | 16 |
| მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:13 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 12 |
| ჩიხურა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| ივერია | 8 | 2 | 4 | 2 | 7:10 | 10 |
| ოლიმპი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | 9 |
| გურია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| რუსთავი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:18 | 7 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 4:18 | 6 |
| საგარეჯო | 9 | 1 | 2 | 6 | 8:24 | 5 |
| მაღაროელი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:16 | 3 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 — 11 ტური — შედეგები

დინამო 3:2 ვიტ ჯორჯია
დილა 2:1 სიონი
ზესტაფონი 1:1 ტორპედო
ბათუმი 1:1 ლოკომოტივი
კოლხეთი 1:0 თბილისი

მომდევნო ტური 24 ოქტომბერს კია, მაგრამ მანამდე „დინამო" — „სოშოა" და ამ ტურის უმჭექესი ამბავიც ვაკეში მოხდა — გია გეგუჩაძის „დინამომ" იმ ჩემპიონს მოუგო, რომელიც მიმდინარე სეზონში ჩემპიონურად ვერ თამაშობს — „დინამომ" „ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივზე" დაამარცხა, რადგან ფრანგულ „სოშოს" სწორედ რკინიგზელთა სარბიელზე უნდა უმასპინძლოს.

ხუთი მატჩიდან სამში ხელმოცარულმა გუნდების მწვრთნელებმა მსაჯები გათათხეს. ვიტჯორჯიელთა დამრიგებელმა ვლადიმერ ხაჩიძემ საშა მეშკოვზე თქვა, უხეშად შეცდაო, „ტორპედოს" თავკაცმა ოთარ გაბელიამ მერაბ მალაღურაძისკენ მიანიშნა, მეტოქე ფეხბურთელები მას მთელი თამაში აგინებდნენ, ხოლო ტორპედოელ გია მეგრელაძეს ეს არ ეპატიაო. პრეტენზიები გამოთქვა „თბილისის" მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმაც, ვინც არბიტრ ალექსანდრე შილაკაძეს პროფესიონალიზმის გარდა გრაციაც დაუწუნა — ასეთი ბუთქუნა არბიტრი სხვაგან თუ გინახავთო.

ჩვენში ტურის ულამაზესი გოლის კონკურსს არავინ ატარებს, თორემ სიონელი დიმიტრი ვერემჩუკი ალბათ ლაურეატი გახდებოდა — დაახლოებით 35 მეტრიდან გაიტანა საჯარიმო დარტყმით — ასეთი გოლები გაუსვრელი მსაჯებივით იშვიათია ჩვენს ჩემპიონატში.

და ტურის კურიოზიც — სიონელმა მამუკა რუსიამ გაჩერებული ბურთი ერთი მეტრიდან ვერ დაუმიზნა „დილას" კარს.


თვალი მიჭირავს. შენზედა... ვიტჯორჯიელი პავლე დათუნაიშვილი და დინამოელი ჯაბა კანკავა

# ახალაია, შე ძველო!

ლადო ახალაიაზე ლაპარაკი გუშინ არ დაწყებულა და ქართველმა ქომაგმა კარგად იცის მისი შესაძლებლობები. ყველაფერზე თვალები რომ დავხუჭოთ, ახალაია უნივერსალია, რაც ქართველებისთვის დღემდე უცხო ხილივითაა.

ცოტა ხნის წინ ლადოს „დინამოში" პრობლემები ჰქონდა — ტრავმისშემდგომ პერიოდს გაურკვევლობა მოჰყვა და ისიც უთამაშებელი დარჩა.

ბევრი თუ ცოტა ლოდინის მერე ახალაია „დინამოს" დაუბრუნდა და მერე როგორ — „ვისლასთან" მოგებაშიც წილი დაიდო და გუშინწინ „ვიტ ჯორჯიასთან" ჯახშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

...ანუ ახალი ახალაია ბრუნდება?!






ზოგადად ქართული რთულად ასათვისებელი ენაა უცხოელებისთვის, მაგრამ ზოგადობისვე დაურღვევლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია. ალბათ ასე იფიქრა „დინამოს" ბრაზილიელმა ლეგიონერმა სეზარ რომერომაც და... არ გეგონოთ, რომერომ ქართულად ლაპარაკი დაიწყო, უბრალოდ, ჯერ მხოლოდ ესმის ქართული. ეს აღმოვაჩინეთ შაბათს „ლოკომოტივზე", „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას. ბრაზილიელს თანაგუნდელებმა არაერთხელ შესძახეს, „რომერო უკან ჩამოდი", „რომერო უჯარიმოდ", „რომერო კაცი აიყვანე"... გაგიკვირდებათ, მაგრამ ოკეანისგაღმელმა შეძახილთა უმეტესობა მორჩილად შეასრულა.

ჰო, არ დაგვავიწყდეს — სტადიონის ინფორმატორმა ბრაზილიელი ქართულადაც მონათლა — ზაზა რომერო.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 7-მეგრელაძე | ტორპედო |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| 6-ჭელიძე | ბათუმი |
| მელქაძე | დინამო |

# აუტსაიდერული ახლები

ცხრილის ბოლო ოთხ გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდა და სამ მათგანს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ერთი კი ჯერაც უთავკაცოდაა.

„ზესტაფონში" თემურ მახარაძის დებიუტი იყო. მახარაძე ძველი, წინა სეზონში „სიონში" აკიდებული დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნიდან უცქერდა თამაშს, თუმც „ტორპედოსთან" მისმა გუნდმა ქულა გამოადნო, თანაც მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა.


თემურ მახარაძე

სერგო გაბელაიამ „კოლხეთი" სამი ტურის წინ ჩაიბარა, მაგრამ ფოთში პირველად გაიყვანა გუნდი და გაბელაიას ფოთური დებიუტიც წარმატებული გამოდგა. ისე, გაბელაია ფოთში უცხო კაცი არ არის, 90-იან წლებში „კოლხეთში" სოსო ფილიას თანაშემწედ მუშაობდა.


სერგო გაბელაია

გაბელაიას დარად მეცხრე ტურში შეუდგა საქმეს სოსო ვაშაკიძე, ვისი ხელმძღვანელობითაც „დილამ" სამი თამაშიდან ოთხი ქულა მოიპოვა. ვაშაკიძე „სიონთან" ნამატჩევს თამამი განცხადებითაც გამოირჩა, თავდამსხმელი ეროვნულ ნაკრებსაც არ ჰყავსო.


სოსო ვაშაკიძე

## სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — დინამო
მიხეილ ბობოხიძე — ლოკომოტივი
ლადო ახალაია — დინამო
მიხეილ კაკალაძე — დინამო
დიმიტრი ვერემჩუკი — სიონი
ალეკო გოგოხერიშვილი — ლოკომოტივი
პავლე დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
ნუკრი მანჩხავა — ბათუმი
დავით ჭიჭველიშვილი — დინამო
ლაშა სალუქვაძე — დინამო
ბექა შეყრილაძე — თბილისი

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 27:9 | 26 |
| ტორპედო | 11 | 6 | 4 | 1 | 16:5 | 22 |
| ბათუმი | 11 | 6 | 3 | 2 | 18:7 | 21 |
| თბილისი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:13 | 20 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 5 | 1 | 16:5 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 2 | 4 | 21:17 | 17 |
| დილა | 11 | 2 | 1 | 8 | 8:20 | 7 |
| კოლხეთი | 11 | 2 | 1 | 8 | 7:20 | 7 |
| სიონი | 11 | 2 | 1 | 8 | 10:28 | 7 |
| ზესტაფონი | 11 | 2 | 1 | 8 | 7:27 | 7 |

## მომდევნო ტური

24 ოქტომბერი, კვირა

ლოკომოტივი – ზესტაფონი

ტორპედო – კოლხეთი

სიონი – ბათუმი

თბილისი – დინამო

25 ოქტომბერი, ორშაბათი

ვიტ ჯორჯია – დილა



# შალკე!

## ბაიერნს კბილი კობიაშვილმაც გაჰკრა

## კორღალიძის დიდი ტრავმა მორჩა

***საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე „მილანის“ ძირითადში დაბრუნდა.*** კალაძემ 13 ოქტომბერს ლვოვში უკრაინის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა, თუმც მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ საერთოდ თამაშის ნახვაზეც უარი უთხრა. მაშინვე ითქვა, ანჩელოტი ქართველ მცველს მომავალი ტურისთვის ამზადებსო და ასეც მოხდა — „მილანმა“ ანდრეა პირლოს გოლით სტუმრად 1:0 სძლია „კალიარის“ და ჩვენებურიც კვლავ გამოჩნდა შავ-წითლების მარცხენა ფლანგზე.

***გერმანიაში დღეს ყველა „შალკეზე“ ლაპარაკობს.*** გელზენკირხენელებმა ხომ თვით მიუნხენის „ბაიერნი“ დაამარცხეს, თანაც სტუმრად „ოლიმპიაშტადიონზე“. თუ გახსოვთ, ლეგიონერული ამბების წინა მიმოხილვისას ვწერდით, რალფ რანგნიკის მისვლით „შალკეში“ ახალ ერას ელიანო და ეს სიტყვები ჰაერიდან მოტანილი რომ არ იყო, ახლაც გამოჩნდა. სასიამოვნოა ისიც, რომ *ლევან კობიაშვილმა* 90 წუთი ითამაშა და კარგადაც გაართვა თავი მოვალეობას. ეგ არის, გერმანელი ჟურნალისტების თქმით, ჩვენებური შეტევაში ვერ იყო მწვავე, თორემ საკუთარი საჯარიმოს მისადგომებს საგულდაგულოდ ამაგრებდაო.

მოკლედ, „შალკემ“ მე-6 ადგილზე აინაცვლა და ახლა უფრო სერიოზულ მიზნებზეც შეიძლება ფიქრი. მით უმეტეს, ბუნდესლიგის დამთავრებამდე ჯერაც გვარიანი მანძილია გასავლელი.

ჩაფლავდა „ფრაიბურგი“. ეს გუნდი თუ რამეს აღწევდა, პირველ რიგში ქართველი ფეხბურთელების დახმარებით და უქართველო „ფრაიბურგისგან“ სახეიროს არც არავინ ელოდა. ერთი სიტყვით, ტრავმირებული *ლევან ცქიტიშვილი* და *ალექსანდრე იაშვილი* ფოლკერ ფინკეს



ვერ შეეშველნენ და „ნიურნბერგმაც“ 3:0 გაიჯეჯილა. ახლა „ფრაიბურგი“ გასავარდნ მე-16 საფეხურზეა.

***ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ ლევან კორღალიძე ფეხბურთს დაუბრუნდა.*** „სკონტოს“ ლიდერმა მძიმე ტრავმის მოშუშებას ამდენი დრო დაახარჯა და გუშინწინ „იურმალასთან“ მატჩში შეცვლაზე შევიდა. რიგელებმა კი 3:2 დაამარცხეს მეტოქე და კვლავაც კუდში მისდევენ „მეტალურგს“.

***ქართველების ორი გოლი ვერ ეყო „პარალიმნის“.*** *ლევან ქებაძემ* და *გიორგი ანჩაბაძემ* „აპოლონთან“ მატჩში თავი კი გამოიჩინეს, მაგრამ სტუმართა სამ გოლს ველარ გადაახტნენ — „პარალიმნიმ“ 2:3 წააგო.

ოთხმა ჩვენებურმა ითამაშა „ანართოსისში“. ამათგან *თემურ ქეცბაია* და *კლიმენტი წიტაიშვილი* ძირითადში იყვნენ, *გიორგი ქინქლაძე* და *დავით ჩალაძე* კი შეცვლაზე შევიდნენ. თუმც „ანართოსისმა“ ეგრეც ვერ გატეხა აეკ-ი და ოდენ ქულას დასჯერდა.

***ბულგარეთში აქამდე მხოლოდ ამირან მუჯირს გაჰქონდა გოლები,*** ახლა კი ამით *კონსტანტინე დარსანიასაც* შეუძლია დატრაბახება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა მეორედ მოირგო „ჩერნო მორეს“ მაისურა და მოედანზე შესვლიდან ოთხ წუთში შეძლო ანგარიშის გათანაბრება. „ჩერნო მორემ“ „ნესებრს“ ქულა წაართვა და მერვე ადგილი შეინარჩუნა.

***საინტერესო მატჩი შედგა პოლონეთში.*** *მამია ჯიქია* თავის ყოფილ გუნდ „ამიკას“ დაეჯახა. პლოცკელებმა ვერაფერი გააწყეს მასპინძლებთან და 1:2 დამარცხდნენ. ჯიქიამ 90 წუთი ითამაშა და საკმაოდ თბილი დახვედრაც მოუწყვეს ვრონკში.

**ბახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კალიარი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ბაიერნი 1:0 | 90 | | 7 | 1 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:3 | 0 | | 7 | 0 | 16 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 1 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ერფურტი 3:0 | 0 | | 5 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ალემანია 0:4 | 45 | | 4 | 0 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 2:0 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 2:0 | 90 | | 5 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | პაშინგი 1:2 | 90 | | 12 | 2 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | მოსკვა 2:1 | 90 | | 18 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | მოსკვა 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 2 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | ცსკა 0:2 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 13 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | ს | ცსკა 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | სატურნი 1:5 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | სატურნი 1:5 | 0 | სათადარიგო | 17 | 1 | 14 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | ს | სატურნი 1:5 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 14 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | ტორპედო 1:3 | 90 | | 11 | 0 | 10 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | დინამო 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | არსენალი 2:1 | 89 | გააძევეს | 17 | 0 | 10 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | არსენალი 2:1 | 0 | | 26 | 0 | 10 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | ანჟი 1:2 | 0 | | 26 | 0 | 11 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | შ | სპარტაკი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 26 | 1 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | ხიმკი 0:0 | 90 | | 27 | 5 | 19 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | ლოკომოტივი 4:2 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | ს | მ. კუზბასი 1:3 | 0 | | 10 | 2 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | მ. კუზბასი 1:3 | 65 | შეცვალეს | 11 | 2 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | ს | მ. კუზბასი 1:3 | 90 | | 14 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ნეფტეხიმიკი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | შ | ნეფტეხიმიკი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 7 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ბალტიკა 3:1 | 54 | შეცვალეს | 15 | 1 | 17 |
| **უკრაინა. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ვოლინი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | შახტარი 0:3 | 0 | | | | |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | შახტარი 0:3 | 0 | | | | |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | შახტარი 0:3 | 0 | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | შახტარი 0:3 | 90 | | | | |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | ხალკიდონა 1:2 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | აპოლონი 1:1 | 67 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | დარდანელი 2:2 | 0 | | 6 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ამიკა 1:2 | 90 | | 8 | 0 | 7 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | იურმალა 3:2 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 3 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | იურმალა 3:2 | 90 | | 17 | 3 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | იურმალა 3:2 | 0 | | 8 | 2 | 2 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | მეტალურგსი 0:2 | 90 | | 7 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | | ტური გამოტოვა | | | 21 | 1 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ლევსკი 2:2 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 3 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ნესებრი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა,1 გოლი | 2 | 1 | 8 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ნესებრი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 8 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | შ | სლავია 0:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | სლავია 0:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აეკ 0:0 | 61 | შეცვალეს | 3 | 1 | 3 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | აეკ 0:0 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 3 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აეკ 0:0 | 90 | | 4 | 1 | 3 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აეკ 0:0 | 0 | | 2 | 0 | 3 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | აეკ 0:0 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | აპოლონი 2:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 9 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | შ | აპოლონი 2:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 9 |
| ზვიად ლაბაძე | არისი | შ | აპოელი 0:3 | 0 | | 1 | 0 | 14 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | სალამინა 1:2 | 0 | | 1 | 0 | 12 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | | ტური გამოტოვა | | | 22 | 0 | 13 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ჟეტისუ 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი III ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ლივერპული — დეპორტივო

სავარაუდო შემადგენლობები

| ლივერპული | დეპორტივო |
|---|---|
| კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ხაბი ალონსო, ჰამანი, კიუელი, ლუის გარსია, ბაროში | მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, სესარი, კაპდევილა, ვიქტორი, დუშერი, მაიურო სილვა, ვალერონი, პანდიანი, ლუკე |

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

### მონაკო — ოლიმპიაკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

| მონაკო | ოლიმპიაკოსი |
|---|---|
| რომა, მაიკონი, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, დ. პერესი, ზიკოსი, ბერნარდი, კალონი, სავიოლა, ადებაიორი | ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, შურერი, ვალასი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი, ჯოვანი, ოკასი |

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

## B ჯგუფი

### ლევერკუზენი — რომა

სავარაუდო შემადგენლობები

| ლევერკუზენი | რომა |
|---|---|
| ბუტი, შნაიდერი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი, პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა | ძოტი, პანუჩი, ფერარი, დელასი, კუფრე, მანსინი, დე როსი, პეროტა, ტოტი, კასანო, მონტელა |

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

### რეალი — დინამო

სავარაუდო შემადგენლობები

| რეალი | დინამო |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, გუტი, ზიდანი, რაული, ოუენი, რონალდო | შოვკოვსკი, ფიოდოროვი, გიოანე, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, როდოლფო, ბელკევიჩი, გუსინი, რინკონი, იუსუფი, კლებერი |

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

# მე შემიძლია გავაჩერო ძველი ნაცნობები ენფილდზე

„დეპორტივო" ჯგუფში ჩატარებული ორი თამაშიდან ერთი ქულით ბოლო, მეოთხე ადგილზეა და მისმა მწვრთნელმა, ხავიერ ირურეტამ ალბიონზე გამგზავრებამდე თქვა: „ინგლისელებს უნდა მოვუგოთ. „ლივერპულის" მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი ჩვენს სათამაშო სტილს ზედმიწევნით კარგად იცნობს, თუმც ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, მეტოქის თეორიული უპირატესობა გავაქარწყლოთ და ალბიონური შერკინებაც „დეპორტივოს" სასარგებლოდ დავამთავროთ".


ხაბი ალონსომ, მაურო სილვას დალაგებულს დავანგრევო

გალისიელები „ენფილდს" ოფიციალურ შეხვედრებში არასოდეს სწვევიან — უკანასკნელი ოთხი ალბიონური ომიდან სამი „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ გადაიხადეს — რაც ერთი გამარჯვებითა და ორი წაგებული ჯახით დასრულდა.

„ლივერპული" თავისებური გუნდია, მისი სტილი ბრიტანულს არ ჰგავს და ამიტომაც, სამშაბათს მძიმე შეხვედრას ველით. ბენიტესმა „ენფილდზე" სიახლეები შეიტანა, „წითლების" ღირსებას ესპანელი ფეხბურთელებიც იცავენ, რომელთა ნაცნობ იერიშებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ" — დასძენს ირურეტა.

„დეპორტივოს" დისკვალიფიცირებული სერხიო დააკლდება.

სამაგიეროდ, ითამაშებს უბერებელი ბრაზილიელი მაურო სილვა. ეს 36 წლის ნახევარმცველი ლაკორუნიელთა შუა ხაზის ბურჯად ითვლება და ტყუილად არ უფრთხიან მას „ლივერპულის" ესპანელი ხაბი ალონსო და მწვრთნელი ბენიტესი. ალონსომ პრესკონფერენციაზე თქვა: „მაუროს წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და კარგად ვიცნობ. მან თუ „დეპორის" ნახევარდაცვა ჩვეულად დაალაგა, მაშინ დიდი ოფლისღვრა მოგვიწევს მის დასაშლელად".

შეგირდს დაეთანხმა რაფაელ ბენიტესი, მწვრთნელმა მხოლოდ ეს დაამატა: „მათ ორი წამყვანი ნახევარმცველი არ ეყოლებათ და მაურო სილვას დაბრუნებამაც სულზე მიუსწროთ".

ზემოთ გითხარით, „ლივერპულს" ესპანელი ფეხბურთელები ჰყავსო. ბენიტესი დღეს სავარაუდოდ სამივეს ათამაშებს — დაცვის მარჯვენა ფრთას ხოსემი ჩაიბარებს, შუაში ხაბი ალონსო იქნება, ხოლო ლუის გარსია თავდასხმაში ჩეხ მილან ბაროშს შეუწყვილდება.

ხოსემი: „ალბათ, ალბერტ ლუკეს განეიტრალება მომიწევს. ძალიანაც კარგი, მე შემიძლია გავაჩერო ლუკე".



ახლა ჯგუფის მეორე თამაშზეც ვთქვათ. დიდიე დეშანის „მონაკო" დუშან ბაევიჩის „ოლიმპიაკოსს" უმასპინძლებს. ეს გუნდები ერთმანეთს ევროპულ ომებში ადრეც დასჯახებიან — 1992-93 წლების სეზონის თასების მფლობელთა თასის შეხვედრაში ბერძნებმა საფრანგეთში გეორგიუს ვაიცისის გოლით მოიგეს. „ფაქტია, „ოლიმპიაკოსთან" რთული მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ შინ ვთამაშობთ და სამი ქულაც უნდა ავიღოთ" — ამბობს დეშანი.

ცხადია, საწინააღმდეგო აზრი აქვს დუშან ბაევიჩს, რომელიც ამბობს, სულაც არ ჩავთვლი სენსაციად, თუ ჩვენ მოვიგებთ, „მონაკოს" დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ არა მგონია, ფრანგები დაუმარცხებლები იყვნენო.

ორივე მწვრთნელი საბრძოლო შემადგენლობის გაყვანას გეგმავს და რომელი გაამართლებს თავის სიტყვას, დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს.

ლადო ხომერიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

# რაულს ჯერ კიდევ აკლია

მოდით, შევთანხმდეთ: არანაირი პროგნოზი, მხოლოდ ფაქტები ჩამოვთვალოთ და გუნდების სამედიცინო პუნქტებში შევიხედოთ. პროგნოზისგან კი თავი იმიტომ შევიკავოთ, რომ თანამედროვე ევროპულ ფეხბურთში ყველა ყველას ებრძვის, ამარცხებს და ფავორიტებსა და აუტსაიდერებს შორის ზღვარი ძალიან ხშირად იშლება ხოლმე.

ასე მაგალითად, მადრიდის „რეალი" ობიექტურად კიევის „დინამოზე" ძლიერი გუნდია, მაგრამ ხომ ხედავთ, რას უშვებიან „სამეფო კლუბს" პატარა ესპანური გუნდები. ჰოდა, „დინამომაც" რომ გაისროლოს, სენსაცია იქნება? ალბათ არა, რასაც ისტორიული ფაქტებიც მოწმობენ: „დინამოს" ესპანეთში არასდროს წაუგია ჩემპიონთა ლიგის მატჩი. კიეველებმა აქამდე ორჯერ ითამაშეს ლიგაში „ბერნაბეუზე" და ორივეჯერ ფრეს მიაღწიეს. და თუ საქმე საქმეზე მიდგა, შეგვიძლია ისიც გავიხსენოთ, რომ „დინამოს" „ბარსელონაც" ჰყავს დამარცხებული „კამპ ნოუზე" 4:0.

კიეველებთან შეხვედრაში „რეალს" ნეკნგაბზარული დევიდ ბექემი და სანაკრებო მატჩში ფეხნატკენი მიჩელ სალგადო არ ეყოლება, ხოლო ჯონათან ვუდგეიტის გამოჯანმრთელებას საშველი რომ არ დაადგა, ძველი ამბავია.

ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში როგორ ვერ მოუგო „რეალმა" „ბეტისს", ამაზე გუშინ ვწერდით, აქ კი ვთქვათ, რომ „დინამომ" წინა უქმეებზე უკრაინის თასზე „ვოლინს" სძლია ლატვიელი მარის ვერპაკოვსკისის ორი გოლით, თუმცა ის დღეს დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

და ერთიც, მადრიდელთა კაპიტან რაულს ორი გოლი აკლია დიდი ალფრედო დი სტეფანოს რეკორდის გამეორებამდე — 49 გოლი ჩემპიონთა თასზე.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში „ლევერკუზენი" „რომას" მასპინძლობს. გერმანელებს დაუბრუნდათ ჰანო ბალიტჩი, ვინც მუხლი მოირჩინა და ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰერტასთან" შეცვლაზე ითამაშა. ამავე დროს საეჭვოა რადოსლავ კალუჟნის თამაში. მან პოლონეთის ნაკრებში თავის ტრავმა მიიღო.

სერია A-ში „ლივორნოსთან" მატჩისას უმნიშვნელოდ დაშავდა რომაელი დანიელე დე როსი, რაც სასტარტო შემადგენლობაში თამაშში მას ხელს არ უშლის. კრისტიან კივუც, ფაქტობრივად, გამოჯანმრთელებულა. ივან პელიცოლი, ოლივიე დაკური და დამიანო ტომაზი კი ისევ მკურნალობენ.

ორივე გუნდს თითო ფეხბურთელიც დისკვალიფიცირებული ჰყავს — ლევერკუზენელებს ანდრი ვორონინი, რომაელებს კი ფილიპ მექსეში.

ძოტე ძეძელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |


2000 წლის 14 მარტს რაულს და „რეალს" კიეველებმა მადრიდში 2:2 გაუგორეს

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი III ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი

### იუვენტუსი — ბაიერნი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ზალაიეტა

კანი, კუფური, ლუსიო, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ფრინგსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, ჰაშემიანი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### აიაქსი — მაკაბი

სავარაუდო შემადგენლობები

ლობონტი, ტრაბელსი, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, როსალესი, ანასტასიუ

შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, აბო-სიამი, რეისი, მიშაელოფი, ტ. კოენი, მესიკა, ი. ადო, მბამბა

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

## D ჯგუფი

### ფენერბაჰჩე — ლიონი

სავარაუდო შემადგენლობები

რუშთუ, სერქანი, სერვეთი, ფაბიო ლუსიანო, უმით ოზატი, სერჰათი, ალექსი, მარკო აურელიო, თუნჯაი, ნობრე, ვან ჰოიდონკი

კუპე, რეველიერი, კასაპა, კრისი, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, გოვუ, მალუდა, ვილტორდი

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

### სპარტა — მანჩესტერი

სავარაუდო შემადგენლობები

ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ურბანეკი, იუნი, პაჩანდა

კეროლი, გ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ჰაინცე, ფლეტჩერი, კლებერსონი, ჯემბა-ჯემბა, ოში, რუნი, სმიტი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)



ფაბიო კაპელომ შესაძლოა დღეს ალესანდრო დელ პიეროც ათამაშოს

# მექსასში ნოლი და ბოლო ნისლი

**ბინდათ,** საოცარი ამბავი გითხრათ? „იუვენტუსის" და „ბაიერნის" ევროთამაშები რომ დავაჯამოთ, თითქმის 600 გამოვა, მაგრამ ამ 600 შეხვედრაში რამდენიც გინდა იჩხრიკოთ, ხსენებული გუნდების დაპირისპირებას ერთსაც ვერ ნახავთ. უფრო მარტივად, მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, „იუვენტუსი" და „ბაიერნი" პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

„ბაიერნი" იტალიაში ორჯერ გამარჯვებული დარჩენილა და ოთხჯერ დამარცხებულა. ის ორი ხსენებული გამარჯვება 1980-იან წლებზე მოდის, როდესაც მიუნხენელებმა „რომას" და ინტერს" სძლიეს. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში გერმანელები (ერთხელ თასების მფლობელთა თასზე, ხოლო მეორედ უეფას თასზე) ნახევარფინალში გავიდნენ და იქ შეჯიბრების მომავალ გამარჯვებულთან დამარცხდნენ. მეორე შემთხვევაში, ეს მომავალი გამარჯვებული იტალიური გუნდი, „ნაპოლი" გახლდათ.

ტურინელების ამბავი ასეა: მათ ჩვიდმეტჯერ სწვევიან გერმანელები და აქედან თორმეტი მასპინძლებს მოუგიათ. ტურინულ-გერმანული ბოლო დაპირისპირება უცნაური და უნიკალური გახლდათ. გეხსომებათ, 2001-02 წლების ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრა „ლევერკუზენთან", რომელიც ნისლის გამო ერთ დღეს ვერ გაიმართა და მეორე დღისთვის გადაიდო. ის შეხვედრა 4:0 მოიგეს მასპინძლებმა. მერე კი აი, რა მოხდა: „იუვენტუსი" ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა, ხოლო „ლევერკუზენი" ფინალშიღა დამარცხდა „რეალთან".

დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები არც „იუვენტუსს" ჰყავს და არც „ბაიერნს", სამაგიეროდ, არიან დაშავებულები. დავიდ ტრეზეგე, მოგეხსენებათ, მხრის ოპერაციას იკეთებს და არ იქნება, ხოლო ალესანდრო დელ პიერო ან იქნება ან არა. უფრო სწორად, დელ პიერომ, რომელსაც კარგა ხანია არ უთამაშია, დღეს შეიძლება ითამაშოს და მერე ისევ სამკურნალოდ წავიდეს.

გერმანელებს ასეთი საორჭოფო არავინ ჰყავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაღდად არ იქნებიან ალექსანდრ ციკლერი, როკე სანტა კრუზი და კლაუდიო პიზარო.

„აიაქსი" კი თელ ავივის „მაკაბის" მასპინძლობს. ეს ამსტერდამელთა ისტორიაში მეორე შეხვედრა ისრაელელ მეტოქესთან. პირველი უეფას თასზე 1999-00 წლების სეზონში იყო, როდესაც „აიაქსმა" ჰაიფას „ჰაპოელი" ისრაელში 3:0 მოიგო, ხოლო შინ 0:1 წააგო.

თელ ავივის „მაკაბი" კი უეფას თასის 2001-02 წლების გათამაშებაში ჰოლანდიურ „როდას" შეხვდა, კერკრადეში 1:4 წააგო, ხოლო ისრაელში 2:1 გაიმარჯვა.

„აიაქსს" დაშავებული ჰყავს ტომაშ გალაშეკი.

„მაკაბის" არც დისკვალიფიცირებული ჰყავს ვინმე და არც დაშავებული.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მაკაბი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# ფერგიუსონის საფიქრალი

## როის გრიპი, რიოს ტრაგედია



**ოცდაერთი წელია,** „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩეხეთში არ ყოფილა. ბოლოს ასეთი რამ 1983 წლის 28 სექტემბერს მოხდა, როდესაც ინგლისელები თასების მფლობელთა თასზე პრაღის „დუკლას" შეხვდნენ. მაშინდელი ჩეხური თავგადასავალი „ოლდ ტრეფორდზე" 1:1-ით და პრაღაში 2:2-ით დასრულდა. მანჩესტერელთაგან გოლები დღეს ცნობილმა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა და ლეგენდარულმა ნორმან უაითსაიდმა გაიტანეს. კიდევ უფრო ადრე, 1957-58 წლებში კი იგივე დაპირისპირება 3:0 და 0:1 დასრულდა. ეს ჩემპიონთა თასზე გახლდათ.

**დანია პირველი დივიზიონი**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 532 | დალუმი-ფრემადი | 3.3 | 3.8 | 1.85 | 1.76 | 1.18 | 1.24 |

**ნორვეგია პირველი დივიზიონი**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 549 | ალესუნდი-სტარტი | 1.9 | 3.8 | 3.2 | 1.26 | 1.19 | 1.73 |
| 17:00 | 550 | ჰაუგესუნდი-ბრინი | 1.85 | 3.8 | 3.3 | 1.24 | 1.18 | 1.76 |
| 21:00 | 551 | სტრიომსგოდსეტი-ვარდ ჰაუგესუ | 1.45 | 4.4 | 5.1 | 1.09 | 1.12 | 2.36 |

**ირლანდია**

**19 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 580 | ლონგფორდი-კორკი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |

**არგენტინა**

**19 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 612 | ინდეპენდიენტე-ურაკანი | 1.6 | 3.3 | 5.0 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 613 | ლორენსო-ინსტიტუტო | 1.4 | 3.7 | 6.8 | 1.01 | 1.16 | 2.39 |
| 23:45 | 614 | ველესი-როსარიო | 1.5 | 3.5 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.23 |

**20 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:10 | 615 | ნიუელზი-რასინგი | 1.7 | 3.2 | 4.3 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 22:30 | 616 | კილმესი-არსენალი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 617 | ბოკა ხუნიორსი-ბანფილდი | 1.4 | 3.7 | 6.8 | 1.01 | 1.16 | 2.39 |
| 23:45 | 618 | ლანუსი-რივერ პლეიტი | 2.9 | 2.9 | 2.2 | 1.45 | 1.25 | 1.25 |
| 23:45 | 619 | ხიმნასია-კოლონი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 620 | ალმაგრო-ესტუდიანტესი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 23:45 | 621 | ოლიმპო-არგენტინოს ხუნიორსი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**19 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 802 | იურგორდენი-მოდო | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 21:00 | 803 | ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 21:00 | 804 | ტიმრე-ბრიუნესი | 1.5 | 4.6 | 4.0 | 1.13 | 1.09 | 2.13 |
| 21:00 | 805 | მალმიო-სიოდერტელიე | 2.0 | 4.2 | 2.6 | 1.35 | 1.13 | 1.6 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**19 ოქტომბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 821 | ესეტი-ლუკო | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 19:30 | 822 | ესპოო-ტურკუ | 2.5 | 4.4 | 1.9 | 1.59 | 1.07 | 1.32 |






| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 823 | იუვესკიულე-კერპეტი | 2.7 | 4.4 | 1.8 | 1.67 | 1.08 | 1.27 |
| 19:30 | 824 | ჰაამეენლინა-პელიკანსი | 1.3 | 5.0 | 5.2 | 1.03 | 1.03 | 2.54 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 825 | ტაპარა-ილვესი | 1.8 | 4.4 | 2.7 | 1.27 | 1.08 | 1.67 |
| 19:30 | 826 | ჰელსინკი-ესპოო | 1.5 | 4.4 | 3.5 | 1.11 | 1.04 | 1.94 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 837 | კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 2.1 | 4.4 | 2.1 | 1.42 | 1.04 | 1.42 |
| 19:00 | 838 | პლზენი-სლავია | 2.1 | 4.4 | 2.1 | 1.42 | 1.04 | 1.42 |
| 19:00 | 839 | ვიტკოვიცე-ზლინი | 2.1 | 4.4 | 2.1 | 1.42 | 1.04 | 1.42 |
| 19:00 | 840 | ვსეტინი-ტრჟინეცი | 2.1 | 4.4 | 2.1 | 1.42 | 1.04 | 1.42 |
| 19:00 | 841 | დუკლა-კლადნო | 3.0 | 4.4 | 1.6 | 1.78 | 1.04 | 1.17 |
| 19:00 | 842 | პარდუბიცე-ლიტვინოვი | 1.6 | 4.4 | 3.0 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 19:00 | 843 | სპარტა-ზნოიმო | 1.6 | 4.4 | 3.0 | 1.17 | 1.04 | 1.78 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **19ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 942 | ს.იულაევი-ლადა | 2.3 | 4.8 | 2.1 | 1.55 | 1.09 | 1.46 |
| 16:30 | 943 | მოლოტი-ცსკა | 3.0 | 5.0 | 3.5 | [illegible] | 1.0 | 1.5 |
| | | **ჰოკეი სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 858 | მიკულაში-ნიტრა | 1.8 | 4.4 | 2.8 | 1.27 | 1.09 | 1.71 |
| 19:00 | 859 | სკალიცა-ტრენჩინი | 2.8 | 4.4 | 1.8 | 1.71 | 1.09 | 1.27 |
| 19:00 | 860 | სლოვანი-პოპრადი | 1.3 | 5.0 | 5.3 | 1.03 | 1.04 | 2.57 |
| 19:00 | 861 | ზვოლენი-კოშიცე | 1.8 | 4.4 | 2.8 | 1.27 | 1.09 | 1.71 |
| 19:00 | 862 | დუბნიცა-ჟილინა | 5.0 | 4.4 | 1.45 | 2.34 | 1.12 | 1.09 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 919 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1.2 | 12.0 | 3.0 | 1.09 | 1.0 | 2.4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ლივერპული-დეპორტივო | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5002 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 1,95 | 2,15 | 6,0 | 1,02 | 1,47 | 1,58 |
| 5003 | ლევერკუზენი-რომა | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5004 | რეალი-დინამო | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5005 | აიაქსი-მაკაბი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5006 | იუვენტუსი-ბაიერნი | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5007 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5008 | სპარტა-მანჩესტერი | 4,8 | 2,1 | 2,2 | 1,46 | 1,5 | 1,07 |
| 5009 | პანათინიკოსი-არსენალი | 4,8 | 2,1 | 2,2 | 1,46 | 1,5 | 1,07 |
| 5010 | რუსენბორგი-პსვ | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5011 | მილანი-ბარსელონა | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5012 | შახტარი-სელტიკი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5013 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5014 | ვალენსია-ინტერი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5015 | ჩელსი-ცსკა | 1,6 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,89 |
| 5016 | პსჟ-პორტუ | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ლივერპული-დეპორტივო | 1,65 | 2,3 |
| 5402 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 1,45 | 2,8 |
| 5403 | ლევერკუზენი-რომა | 1,85 | 1,95 |
| 5404 | რეალი-დინამო | 1,25 | 3,7 |
| 5405 | აიაქსი-მაკაბი | 1,25 | 3,7 |
| 5406 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1,65 | 2,3 |
| 5407 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 1,85 | 1,95 |
| 5408 | სპარტა-მანჩესტერი | 2,4 | 1,6 |
| 5409 | პანათინიკოსი-არსენალი | 2,4 | 1,6 |
| 5410 | რუსენბორგი-პსვ | 1,85 | 1,95 |
| 5411 | მილანი-ბარსელონა | 1,8 | 2,0 |
| 5412 | შახტარი-სელტიკი | 1,75 | 2,1 |
| 5413 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,9 | 1,9 |
| 5414 | ვალენსია-ინტერი | 1,75 | 2,1 |
| 5415 | ჩელსი-ცსკა | 1,25 | 3,7 |
| 5416 | პსჟ-პორტუ | 1,85 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ლივერპული-დეპორტივო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5102 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5103 | ლევერკუზენი-რომა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5104 | რეალი-დინამო | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5105 | აიაქსი-მაკაბი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5106 | იუვენტუსი-ბაიერნი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5107 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5108 | სპარტა-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5109 | პანათინიკოსი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5110 | რუსენბორგი-პსვ | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5111 | მილანი-ბარსელონა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5112 | შახტარი-სელტიკი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5113 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5114 | ვალენსია-ინტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5115 | ჩელსი-ცსკა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5116 | პსჟ-პორტუ | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ლივერპული-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ლევერკუზენი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | რეალი-დინამო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | აიაქსი-მაკაბი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | იუვენტუსი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | სპარტა-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | პანათინიკოსი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | რუსენბორგი-პსვ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | მილანი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | შახტარი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ვალენსია-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ჩელსი-ცსკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | პსჟ-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ლივერპული-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5302 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 1,75 | 1,85 |
| 5303 | ლევერკუზენი-რომა | 1,6 | 2,0 |
| 5304 | რეალი-დინამო | 1,75 | 1,85 |
| 5305 | აიაქსი-მაკაბი | 1,8 | 1,8 |
| 5306 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 5307 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 1,7 | 1,9 |
| 5308 | სპარტა-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | პანათინიკოსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | რუსენბორგი-პსვ | 1,65 | 1,95 |
| 5311 | მილანი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5312 | შახტარი-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ვალენსია-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ჩელსი-ცსკა | 1,85 | 1,75 |
| 5316 | პსჟ-პორტუ | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ლივერპული-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5202 | მონაკო-ოლიმპიაკოსი | 1,7 | 1,9 |
| 5203 | ლევერკუზენი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 5204 | რეალი-დინამო | 2,0 | 1,6 |
| 5205 | აიაქსი-მაკაბი | 1,9 | 1,7 |
| 5206 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 5207 | ფენერბაჰჩე-ლიონი | 1,65 | 1,95 |
| 5208 | სპარტა-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5209 | პანათინიკოსი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | რუსენბორგი-პსვ | 1,75 | 1,85 |
| 5211 | მილანი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 5212 | შახტარი-სელტიკი | 1,75 | 1,85 |
| 5213 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,8 | 1,8 |
| 5214 | ვალენსია-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 5215 | ჩელსი-ცსკა | 1,9 | 1,7 |
| 5216 | პსჟ-პორტუ | 1,7 | 1,9 |

ძიუდო

# დიმიტრიჩის ხსოვნისა იყოს!

## ის იაპონელებს ძიუდოს ასწავლიდა



ბიძინა მაზიაშვილს ბევრი გაუზრდია და ბევრიც მოუგია

„დიმიტრიჩი“ გარდაიცვალაო, ეს სამწუხარო და მეტად დასაღონებელი ამბავი უმალ გავრცელდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებაში და ალბათ უკვე უცხოეთსაც მისწვდა.

ამ სახელს თუ ზედმეტსახელს ახსნა-განმარტება არ სჭირდება, სპორტის ყველა ჭეშმარიტი მოყვარულისთვის ცნობილია, მაგრამ თუ ვინმეს არ გაუგონია, მათთვის ვიტყვით — „დიმიტრიჩი“ საქართველოს ძიუდოისტთა ერთ-ერთი პატრიარქი — ბიძინა მაზიაშვილი იყო, მაგრამ ყველანი, უფროსებიცა და უმცროსებიც სიყვარულითა და მოფერებით რატომღაც ასე მიმართავდნენ.

ბიძინა მაზიაშვილი მსოფლიო დონის მწვრთნელი იყო და მას ჭკუას ეკითხებოდნენ საქართველოშიც და უცხოეთშიც, მათ შორის ძიუდოს სამშობლოში.

სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა, რომ ახლა ბიძინა მაზიაშვილზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი.

ასეთ დროს მიღებულია ღვაწლმოსილი კაცის გახსენება, მის ცხოვრებაზე თვალის გადავლება და განსვენებულის დაფასება. ამიტომ ჩვენც ვიხსენებთ კაცს, რომელიც თავის შეგირდებს ბრწყინვალედ ასწავლიდა ტატამზე კვანტის გამოდებას. ცხოვრებაში კი მსგავსი ილეთებისგან შორს იდგა და მხოლოდ სიკეთეს თესდა.

ახლა მახსენდება 1998 წელი, როცა ბიძინა მაზიაშვილმა თავის დაბადების 70-ე წლის აღსანიშნავად მშობლიურ ზემო მაჩხაანში მიგვიწვია.

იმ დღეს თბილისში საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი იყო. იყო დიდი ემოციები, აჟიოტაჟი, ვნებათაღელვა და მოლოდინი, მაგრამ ლამის მთელი ქვეყნის სპორტულმა საზოგადოებამ, 500-მდე კაცმა სტადიონს კი არა, ზემო მაჩხაანს მიაშურა.

თუ ვინმეს მთელს მსოფლიოში კიმონო ან ჩოხა ჩაუცვამს, ყველა იცნობს ბიძინა მაზიაშვილსო, ამბობდნენ იმ დღეს „დიმიტრიჩის“ სტუმრები. ან კი როგორ არ უნდა სცნობოდათ კაცი, ვისაც ფარნაოზ ჩიკვილაძიდან, გივი ონაშვილიდან, ჯიბილო ნიჟარაძიდან, გურამ გოგოლაურიდან, ანზორ მარტყოფლიშვილიდან, დილარ ხაბულიანიდან და სხვა მრავალთაგან მოყოლებული აგერ დღევანდელი არაერთი ძიუდოისტის ჩათვლით, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორი აღუზრდია. კაცი 23 წელიწადი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო და ამ 23 წლის განმავლობაში გუნდის წარმატებებით გვახარებდა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

ბიძინა მაზიაშვილმა გუნდის მზადებაში ჩვენს სპეციალისტთაგან პირველმა გაითვალისწინა მეცნიერთა რეკომენდაციები. ეგ კი არა, თბილისში ჩამოსული ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენლები მაზიაშვილს სთხოვდნენ ქართული ჭიდაობის ილეთების სწავლას, რასაც მისი აღსაზრდელი ძიუდოისტები თუ სამბისტები არაერთხელ აუყვანია საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მერე, 1962 წელს ამგვარი ილეთების სასწავლებლად იაპონელებმა მაზიაშვილი თავიანთ ქვეყანაშიც მიიწვიეს.

იმ საიუბილეო საღამოზე იყო ბევრი მოგონება, რომლებსაც უფრო ხშირად და იუმორით იხსენებდნენ, თავად ბიძინა კი ყოველივეს ღიმილით ისმენდა და საკუთარ თავგადასავლებზე ოხუნჯობდა.

ერთხელ ბიძინა მაზიაშვილმა „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე გუნდი წაიყვანა. ერთი მოჭიდავე, მაზიაშვილის წონისა, ავად გახდა, ბიძინამ კი გუნდის ინტერესებისთვის კიმონო გადაიცვა, გავიდა ტატამზე და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი კიდევ ერთხელ გახდა.

მაშინ ბიძინა მაზიაშვილი... ორმოცისა იყო.

გურამ პაპიტაშვილმა, ვინც მაზიაშვილთან ერთად საქართველოში ძიუდოს პატრიარქად ითვლება, მაშინ, მარანში გვითხრა, ეს ჩვენი ზოგი სპორტსმენი [illegible] რომ [illegible] ხის, აი, გრიპი მაქვს, აი, სურდო მაქვს, აი, სიცხე მაქვს და სარბიელზე ვერ გამოვალო, ბიძინასგან უნდა აიღოს მაგალითი. ამ 70 წლის კაცს, ჯვარი წერია და, არაფერი ემართება, კაჟივითაა. დადის აჯიკითა და გუდის ყველით მთელ მსოფლიოშიო.

სამწუხაროდ, ამ კაჟმა კიდევ მხოლოდ ექვს წელიწადს გაუძლო.

იმ საღამოდან კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორის, ცნობებული აკადემიკოსის ავთანდილ ციბაძის ნაამბობი: „ამ რამდენიმე წლის წინათ ორიოდე პურისთვის ცივ და ბნელ ზამთარში გრძელ რიგებში რომ ვათენებდით და ვაღამებდით, ბიძინამ თავისი მოწეული ხორბალი დაფქვა, ტომრები დატენა და თბილისში თავის მეგობრებს ჩამოგვიტანა, რამაც ორ თვეს თავი გაგვატანინაო...

დღეს მხოლოდ ეს გადაგვარჩენს — სიყვარული და თანადგომა გადაგვარჩენსო, გვითხრა მაშინ ბიძინა მაზიაშვილმა.

ძიუდოს დიდი სპეციალისტი დიდი მეურნე კაციც ყოფილა და ამაში ყველანი მისი კარ-მიდამოს ხილვისას დავრწმუნდით. მარანი კი ხომ მთლად ზღაპრულად მოუწყვია.

სამწუხაროდ, იმ მარანში დღეს ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისას იტყვიან და ყველანი წამოუდგებიან მის ნათელ ხსოვნას.

**ავთანდილ გურასაშვილი**

სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით

იუწყება, რომ გარდაიცვალა საუკუნის მწვრთნელი,

ჭიდაობა ძიუდოს ფუძემდებელი საქართველოში

**ბიძინა მაზიაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

ჭიდაობა

# დარჩიამ სათასოდ დაარჩია

**6-7 ნოემბერს** ჭიდაობის ქართველ გურმანებს ზეიმი ელით. თბილისის სპორტის სასახლე ბერძნულ-რომაულ სტილში მსოფლიოს თასს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს გარდა თურქეთის, აშშ-ის, ყაზახეთის, ბელარუსისა და საფრანგეთის ნაკრებები გავლენ ხალიჩაზე. როგორც იცით, 7 ნოემბერსვე დარბაზში ქართული ჭიდაობის აბსოლუტური ჩემპიონატი ანუ ფალავნობაც გაიმართება და დიდი შანსია, მასში ჩვენმა ოლიმპიურმა გმირმა ზურაბ ზვიადაურმაც იჭიდაოს.

საქართველოს ბერძნულ-რომაელთა“ ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას სათასოდ ორი შემადგენლობა ეყოლება, რაც ვარიირების საშუალებას მისცემს. დარჩიას თქმით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ძირითადი შვიდეული ასეთი იქნება: ირაკლი ჭოჭუა (55კგ), ლაშა ლომაძე (60კგ), ომარ ბაკურიძე (66კგ), ბადრი ხასაია (74კგ), მეხრან ვახტანგაძე (84კგ), რამაზ ნოზაძე (96კგ), მირიან გიორგაძე (მძიმე წონა). როგორც ხედავთ, შემადგენლობაში არ არის ვეტერანი აკაკი ჩაჩუა, თუმც მას კარიერა არ დაუსრულებია — მამა დაელუპა. აკაკის შემცვლელ 20 წლის ლაშა ლომაძეს კი გამოცდილების ნაკლებობა არ უნდა ჰქონდეს. მას ნაკრების მომავალ ვარსკვლავად სახავენ, რაც შარშან ევროპელ ახალგაზრდებში გაჩემპიონებამაც დაატკიცა. კიდევ ერთი ახალი სახეა ომარ ბაკურიძე, რომელიც სათასო ნაკრებში მანუჩარ კვირკველიას ტრავმის გამო მოხვდა. ათენის ოლიმპიადაზე დისკვალიფიცირებულ კვირკველიას წონის დაკლება უჭირს და ალბათ 74 კილოგრამში აინაცვლებს.



ქართველ „ბერძენ-რომაელთა“ იმედი რამაზ ნოზაძე

დანარჩენ ხუთ ფალავანს კი წარდგენა არ სჭირდება. ერთი ნაღდია, ამ შემადგენლობით საქართველოს ნაკრებს თავისუფლად შეუძლია მსოფლიოს თასის აწევა, რაც ათენურ ჩავარდნას ოდნავ მაინც გაანეიტრალებს.

**ილია ნანობაშვილი**

კრივი



რამაზ ფალიანმა მეათე სარეიტინგო გამარჯვება გამოიმუშავა

# ქართველები უფროსებს დაერივნენ

**ამ უქმეებზე** ოკეანგაღმა მოკრივე ქართველებმა რამაზ ფალიანმა და ავთანდილ ხურციძემ მორიგი სარეიტინგო შეხვედრები ჩაატარეს და ტრადიციულად გამარჯვებებიც იზეიმეს. ორივე ბრძოლა ერთ საღამოს, ფილადელფიაში შედგა.

ფალიანმა საიუბილეო მეათე შეხვედრაში ასევე საიუბილეო მეათე გამარჯვებით გაიხარა. 33 წლის კოლუმბიელ ისიდრო ტეხედორს აქამდე ჩვენებურზე ლამის ხუთჯერ მეტჯერ მოესწრო რინგზე გასვლა, თუმც გამოცდილებამაც ვერ უშველა.

20 წლის ავთანდილ ხურციძის მეტოქემ, 40 წლის ამერიკელმა ლეო ედვარდსმა მეექვსე რაუნდამდე ფეხზე გაძლო, მერე კი ნოკაუტი იგემა. ხურციძისთვის ეს მეხუთე პროფესიული კრივობა იყო. ახლა მის აქტივში ოთხი მოგება (სამი ნოკაუტი) და ერთი ფრე ირიცხება.



კრემლის თასი ანასტასია მისკინას დარჩა

# კრემლიანი კომპლექსები

## ორივე განსხვავებული რუსებმა მოსკოვში დაიტოვეს

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ჭერქვეშა ხალიჩა
ქალები. საპრიზო 1,3 მილ. $

**ფინალი**

**ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 7:5, 6:0**

წლის მესამე, ხოლო კარიერის მეცხრე ტიტულის მოსახვეჭად კრემლის თასის შარშანდელ მფლობელ ანასტასია მისკინას, წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისა არ იყოს, ისევ თვისტომ ელენა დემენტიევას შემუსვრა მოუხდა.

მართალია, ეს გამარჯვება პარიზულის დარად შთამბეჭდავი ვერ გამოდგა — იქ მისკინამ საათზე ნაკლებ დროში, 6:1, 6:2 მოიგო — მაგრამ ვერც ძალიან უშთამბეჭდავო დაერქმევა. ამ ჯერზე რუსქალთა დეკეულმა ქეროსანი თანამემამულის ძლევას საათზე მხოლოდ ცხრა წუთით მეტი მოანდომა და ეგეც არ იყოს, მეორე სეტში სულაც გააბუბლიკა კიდეც.

არადა, პირველ სეტში დემენტიევა 5:3 იგებდა და ცოტა აგრესიულად რომ გარჯილიყო, ეგებ მისკინასთან მორიგ საფინალო ჩაფლავებასაც გადარჩენოდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კვლავ თავი იჩინა მისმა ორმა უდიდესმა ნაკლოვანებამ — უნიათო მოწოდებამ და სუსტმა ნერვებმა. სწორედ ამიტომ იყო, ნამატჩევს რომ იძახდა, ამიერიდან მოწოდების გამოსწორებასაც განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ და ფსიქოლოგთანაც ვივლი, რათა როგორმე მისკინას კომპლექსი გადავლახოო.

სხვათა შორის, ეს კომპლექსი დემენტიევამ წლეულს, სწორედ როლანგაროსობის მერე „აიკიდა", თორემ მანამდე მას მისკინასთვის იმდენჯერვე ანუ 4-გზის მოეგო, რამდენჯერვეც წაეგო. და კიდევ — ეს კომპლექსი მას სხვა თვისტომებზეც გადაუვიდა. ალბათ ჯერ არ დაგვიწყებიათ, რომ აშშ-ის ღია პირველობის ფინალში მან უკვე მეორე რუს სვეტლანა კუზნეცოვასთან დათმო.

რაც შეეხება მისკინას, დემენტიევას ძლევამ ის საკუთარი კომპლექსების შესახებ აალაპარაკა. როგორც ირკვევა, ის ჯერ კიდევ ვერ გამოსულა იმ შოკიდან, რომელშიც ათენის ოლიმპიადის ნახევარფინალში ჟუსტინ ენენ-არდენთან თითქმის მოგებული მატჩის წაგებამ ჩააგდო. ვინძლო თქვენც გახსოვდეთ — იმ მატჩის მესამე სეტში მისკინა ბელგიელს 5:1 უგებდა და საბოლოოდ მაინც 6:8 წაგება „შეძლო". ასეთმა კატასტროფამ მასზე დამთრგუნველად იმოქმედა და ის კარგა ხანი აზრზე ვერ მოდიოდა — იმდენად არეული იყო, რომ აშშ-ის ღია პირველობაზე მეორე წრეშივე და თანაც 17 წლის გამოუცდელ თანამემამულე ანა ჩაკვეტაძისგან იძლია.

ჟუსტინთან მარცხი ალბათ არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ ამ გამარჯვებამ ათენური შოკიდან გამოსვლაში კი ნამდვილად უნდა მიშველოსო, იძახდა დემენტიევას მოგების შემდეგ მისკინა და ვინ იცის, ეგებ კრემლის კურანტებამდეც მართალი იყო.

**კაცები**
საპრიზო 1 მილიონი $

**ფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო (8, რუსეთი) — გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) 3:6, 6:3, 7:5**

ამ დაძაბული მატჩის ბედი გადამწყვეტი სეტის მეათე გეიმში გადაწყდა, როცა რუსმა მეჩოგნემ 31 წლის ბრიტანელს სამი მატჩბურთი გაუცუდა. ტიტულისგან ერთი ქულის მანძილზე შეჩერებულ რუზედსკის ნირი წაუხდა და დავიდენკოს წლის მეორე, ხოლო კარიერის მეოთხე ტიტულის მოხვეჭა აღარ გასჭირვებია. დღეს ჩემი უდიდესი გამარჯვება მოვიპოვე და უდიდესი ოცნება ავიხდინეო, ყიჟინებდა ნაფინალევს დავიდენკო და — იმის გათვალისწინებით, რომ მშობლიურ ტურნირზე გაპირველებას დასტურ გამორჩეული მუღამი აქვს — არც გაემტყუნებოდა. ჩვენ კი მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ 1990 წლიდან დღემდე ვინგინდავინ რუსმა კაცმეჩოგნემ კრემლისთასობის ფინალში უკვე მეათედ ითამაშა და უკვე მეცხრედ იმარჯვა.

**BA-CA TENNIS TROPHY**
ვენა. ჭერქვეშა ჰარდი
საპრიზო 682 750 €

**ფინალი**

**ფელისიანო ლოპესი (8, ესპანეთი) — გილერმო კანიასი (6, არგენტინა) 6:4, 1:6, 7:5, 3:6, 7:5**

23 წლის ფელისიანო ლოპესმა კარიერის პირველი ტიტული მოირეწა. საამისოდ მას საუცხოო ფორმაში მყოფ გილერმო კანიასთან სამსაათნახევრიანი ტიტანური ბრძოლის გადატანა მოუხდა. საინტერესოა, რომ ეს მათი მეორე შეხლა გახლდათ და პირველი დაპირისპირებისასაც — ორიწლისწინანდელ უიმბლდონობაზე — ლოპესმა ასევე ხუთსეტიან გაndლაგანაში იმარჯვა.

სხვაფრივ — ეს ლოპესის მეორე საამსეზონო (და იმავდროულად, საკარიერო) ფინალი იყო. პირველ გადამწყვეტ მატჩს მან დუბაიში უწია, მაგრამ იქ ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერისგან იგემა. რაც შეეხება კანიასს, შტუტგარტში, უმაგსა და შანხაიში გამარჯვებების შემდეგ ის თავის მეოთხე საამზაფხულშემოდგომო ტიტულზე ნადირობდა, მაგრამ წარმატებული სერიის გასაგრძელებლად ილაჯი აღარ ეყო. შეგახსენებთ, რომ შარშან მაჯაზე გადატანილი ოპერაციის გამო მან წლევანდელი სეზონი 274-ე ადგილზე დაიწყო, მაგრამ ამ მომენტისთვის უკვე ზეასეულში რანგით 26-ე მეჩოგნეა.

მეცი. ჭერქვეშა ჰარდი
საპრიზო 375 750 €

**ფინალი**

**ჟერომ ენელი (საფრანგეთი)* — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 7:6 (11:9), 6:4**

ლოპესის მსგავსად კარიერის პირველ ტიტულს გამოჰკრა ჩოგანი 24 წლის ფრანგმა ჟერომ ენელმაც, რომელიც აქამდე ამქარში იმით იყო ცნობილი, რომ უმწვრთნელოდ თამაშობს და თვითმფრინავით ფრენის შიშის გამო ევროპას საჩოგნაოდ ერთხელაც არ გასცილებია. 18 წლის რიშარ გასკეს ძლევამდე მან შვიდ დღეში შვიდი მატჩი მოიგო და უკვე აქედანაც ჩანს, რომ იმ კვირაში და იმ ალაგას ის მართლაც შეუდარებელი იყო.

**ლევან ძელაურაძე**



ირაკლი ლაბაძემ მადრიდის მასტერსტურნირის პირველ წრეში ალბერტო კოსტას ფიცხელი ბურთაობა გაუმართა და პირველი სეტის 2:6 დათმობის შემდეგ მეორე სეტი 7:5 აართვა, მაგრამ გადამწყვეტ შეხლაში ასევე 5:7 დამარცხდა და სენსაცია დაკარგა



# ქალებს იმედი დაებადათ

## უნგრულ შოკს ეკვადორი შეეწირა

**დღე მესამე**: ქართველმა ქალებმა ესპანურ მალიორკაში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ასე თუ ისე, რიგიანი სტარტის შემდეგ საშინლად ითამაშეს უნგრეთთან და მადიარებს მხოლოდ ნანა ძაგნიძის ყაიმს გამორჩნენ. ამასობაში ლიდერმა გერმანელებმა მთელი 3,5 ქულით გაგვისწრეს და ამ სხვაობის დაფარვა რეალურად ძალიან გაჭირდება, თუმც გუშინ იმედი მეორედ დაიბადა...

...ჩვენი მანდილოსნები სუსტ, მაგრამ მალიორკაში მათსავით 5-ქულიან ეკვადორს (რეიტინგში 39-ე) ხვდებოდნენ და პირწმინდად გაანადგურეს — 3:0. უნგრელებთან დასვენებულმა მაია ჩიბურდანიძემ ბალეარიის კუნძულებზე პირველი მატჩი მოიგო, ნანა ძაგნიძემ ზედიზედ მეოთხე არ წააგო და აქამდე მწირმონაგარიანმა ლელა ჯავახიშვილმაც იოლად დაჯაბნა სამხრეთამერიკელი. შედეგად, ქართველებმა 8 ქულა მოაგროვეს და თუ გავითვალისწინებთ, რომ წინ კიდევ 10 ტურია... და აგრეთვე, ქულითღა ჩამორჩებიან გერმანელებს, რომლებმაც გუშინ ჩინელებთან 0,5:2,5 დათმეს. გერმანელთა ლიდერი ქეთევან კახიანი-გერშინსკა კი თავის წინ პარტიაში ვარსკვლავქალ სიუ ჟუნთან დამარცხდა. კიდევ ერთ ისტორიულ ჯახში რუსებმა 2:1 გაამწარეს ჟუჟა პოლგარით თავმომწონე ამერიკელები.

მოკლედ, მანდილოსნებმა გაგვახარეს, ხოლო ვაჟებმა „მორცხვი" 2,5:1,5 აკმარეს რეიტინგში 26-ე ადგილოსან სერბებს. ზურაბ აზმაიფარაშვილმა ბალკანელთა ლიდერ მილოშ პერუნოვიჩს ააშლევინა დაფა. კვლავ იმარჯვა ახალგაზრდა ბაადურ ჯობავამ, თუმცა თამაზ გელაშვილი დრაგან კოშიჩმა დაგვიმარცხა, ხოლო გიორგი ყაჭეიშვილი ზავით გაეყარა დრაგან სოლაკს. აზმაიფარაშვილი და კომპანია 11-ქულიან კოჰორტას შეუერთდა, რომლებიც მე-13-18 ადგილებს იყოფენ.

გუშინვე, პოსტ-საბჭოურ დერბიში უკრაინელებმა რუსებს 2,5:1,5 სძლიეს. ამათი სამი მატჩი ყაიმით დამთავრდა, მაგრამ მთავარჯახში ვასილი ივანჩუკმა ალექსანდრ მოროზევიჩს დაახრევინა თავი. უკრაინელები უახლოეს მდევარ ისრაელს მთელი 2 ქულით უსწრებენ, რუსებიც გვარიანად ჩამოიტოვეს და ვინძლო აღარც დაიხიონ უკან. მალიორკას დაფებთან ბევრიც არავინ ჩანს მათი შემჩერებელი. მით უმეტეს, რომ უკრაინელებმა ფავორიტებთან მატჩები უკვე მოიშორეს...

**ილია ნანობაშვილი**

ვაჟები. IV ტური
**საქართველო — სერბეთი 2,5:1,5**
ზურაბ აზმაიფარაშვილი — მილოშ პერუნოვიჩი 1:0
გიორგი ყაჭეიშვილი — დრაგან სოლაკი 0,5:0,5
ბაადურ ჯობავა — ალექსანდრ კოვაჩევიჩი 1:0
თამაზ გელაშვილი — დრაგან კოშიჩი 0:1

ქალები. IV ტური
**საქართველო — ეკვადორი 3:0**
მაია ჩიბურდანიძე — მარტა ფიერო 1:0
ნანა ძაგნიძე — როხიო ვასკესი 1:0
ლელა ჯავახიშვილი — ესენია როხასი 1:0



**ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები**
პირველი ეტაპი. მეორე ტური

**A ჯგუფი**
**კონსტანცა** (რუმინეთი) **29:27 ბარსელონა** (ესპანეთი)
**ვარდარ სკოპიე** (მაკედონია) **24:24 პიკ სეგედი** (უნგრეთი)

**B ჯგუფი**
**ZTR ზაპოროჟიე** (უკრაინა) **21:24 მონპელიე** (საფრანგეთი)
**კონვერსანო 2003** (იტალია) **25:29 ზაგრები** (ხორვატია)

**C ჯგუფი**
**ბრესტსკი მეშკოვი** (ბელარუსი) **31:29 გორენიე** (სლოვენია)
**ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი) **34:33 გოგ გუდმე** (დანია)

**D ჯგუფი**
**პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია) **29:23 ვისლა** (პოლონეთი)
**პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი) **42:22 ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)

**E ჯგუფი**
**კოლდინგი** (დანია) **38:29 ლიუბუშკი** (ბოსნია)
**სიუდად რეალი** (ესპანეთი) **29:22 ვინტერტური** (შვეიცარია)

**F ჯგუფი**
**კრეტეი** (საფრანგეთი) **34:31 ჰაფნარფიორდური** (ისლანდია)
**კილი** (გერმანია) **36:22 სავეჰოფი** (შვედეთი)

**G ჯგუფი**
**ლემგო** (გერმანია) **41:26 გრანიტასი** (ლიტვა)
**ფოტეძსი** (უნგრეთი) **36:24 სანდფიორდი** (ნორვეგია)

**H ჯგუფი**
**მეტკოვიჩ ჯამბო** (ხორვატია) **18:29 ტატრანი** (სლოვაკეთი)
**ფლენსბურგი** (გერმანია) **32:24 ბანიკ კარვინა** (ჩეხეთი)



„სტუ-ჯეოსელმა" ზედიზედ მეორედ მოიპოვა დუდუ დადიანის თასი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ბრაიკოვიჩმა თასი დაკარგა და თავი იპოვა

**ირაკლი პერტაია**

თუ ასე ლაზათიანად შეეძლო ახალგაზრდების მომართვა და შედარებით სუსტი შემადგენლობიდან მაქსიმალური შედეგის გამოწურვა, სად იყო აქამდე დრაჟენ ბრაიკოვიჩი? აშკარად ჩაგდებული წინა სეზონის შემდეგ „დინამოს" ხორვატმა მწვრთნელმა თავის გუნდს თამაშის ისეთი სტილი მოარგო, რომელიც ჯერ ძალიან შორსაა ევროპულისგან, მაგრამ ერთი შეხედვით უკვე გასცდა ქართული ჩემპიონატის მოუნიშნავ საზღვრებს.

დიახ, „დინამო" სრულიად განსხვავებული სტილის კალათბურთს თამაშობს და იგი არ ჰგავს არც ერთი ქართული გუნდის სათამაშო მანერას. მისი ახალი ტაქტიკის არსი ისაა, რომ ბურთიანი კაცი წამით არ ჩერდება მოედანზე და ასევე იქცევიან დანარჩენებიც, ხოლო სწრაფი პირველი შეტევა ჩვეული მოვლენა გახლავთ, რაც, დამიჯერეთ, ძალიან ლამაზი საცქერია.

არადა, ამდენი საქებარი სიტყვების შემდეგ უნდა გითხრათ, რომ „დინამო" დამარცხდა. ბრაიკოვიჩი დუდუ დადიანის თასს წლეულსაც ვერ შეწვდა. თასი შარშანდელივით ნუგზარ ჭეიშვილის „სტუ-ჯეოსელს" დარჩა. თუმცა ეს იყო მატჩი, რომელსაც პირობითი გამარჯვებული ჰყავდა, რაკი მოგებას „დინამო" სტუ-ზე არანაკლებ იმსახურებდა.

ვინც მოითმენს, ის ისიამოვნებსო — ამ ტურნირის მაცქერალზე ითქმის. რაც აქამდე დუდუ დადიანის მემორიალზე ულიმღამო და მოსაწყენი მატჩი გაიმართა, „დინამო" — „სტუ-ჯეოსელის" ფინალმა ერთბაშად დაგვავიწყა. აქ გვინდა, დავაზუსტოთ, რომ მატჩის ავკარგიანობა მხოლოდ მის დაძაბულობაში არ გამოიხატება — იმისთვის, რომ მაყურებელმა ისიამოვნოს, თამაშის ხარისხიც აუცილებელია. ვერ ვიტყვით, „დინამო" — სტუ ექსტრაკლასის ჯახი იყო და ევროპულ დონეს გაუტოლდებოდაო, მაგრამ რაც მაყურებელმა იხილა, მისთვის ისიც უცხო ხილივით გემრიელი იყო.

ეს იყო საოცრად ცოცხალი მატჩი, ნაზავი სწრაფი, კომბინაციური და სანახაობრივი თამაშით. სამქულიანებიც უხვად იყო და გამოზომილი პასებიც და ოვერტაიმიც სწორედ რომ მოუხდა ამ უზომოდ ენერგიულ და დაძაბულ ჯახს.

გვინდა, თანმიმდევრობით მოგითხროთ ფინალში განვითარებული მოვლენები, მაგრამ ამის გაკეთება ერთობ ძნელია, რაკი თამაში თითქმის მთლიანად ქულა ქულაში წარიმართა და თვალში საცემი უპირატესობა არავის მოუპოვებია.

„დინამო" სიმპათიას იმიტომ უფრო იმსახურებს, რომ შემადგენლობა არ ჰყავს ისეთი, ფავორიტად ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, ბრაიკოვიჩის გუნდს აგვისტოში ფინანსურად გაუჭირდა და თითქმის მთელი შემადგენლობა დაკარგა. ასე იყო თუ ისე, მწვრთნელმა მაინც მოახერხა ყველა პოზიციის მოთამაშის შემოკრება და საკმაოდ დაბალანსებული, თუმც ნაკლებად ამბიციური გუნდი ჩამოაყალიბა. ახლა კი გამოჩნდა, რომ „დინამოსთვის" არც ამბიციაა უცხო, რაკი აქაურთათვის უცხო სტილის კალათბურთს თამაშობს და შესაბამისად, მეტ უპირატესობას ფლობს.

გუშინაც ბლომად თავსატეხი გაუჩინეს დინამოელებმა ტექნიკოსებს, მაგრამ გამოცდილებამ და ძალამ თავისი გაიტანა. აშკარად ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა სტუ-მ მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო და იქ იოლად დაჯაბნა ახალგაზრდული „დინამო".

თუმც ისიც სათქმელია, რომ სტუ-ც გვარიანად დაუძლურებული გახლდათ. ტექნიკოსებმა ტრავმის გამო ხუთეულის წევრები — ალეკო დავითულიანი და გიორგი მარკოიშვილი მოისაკლისეს. თუმც ნუგზარ ჭეიშვილს ჰყავდა რამაზ გოგობერიშვილი, ირაკლი შანიძე და ზვიად მიქაძე, რომელთა ანგარიშზე ჯამში 75 ქულა მოვიდა.

უსწრაფეს ბურთაობაში და თანაბრად ჩავლილი პირველი მეოთხედის შემდეგ „დინამოს" უპირატესობა გამოიკვეთა. ბრაიკოვიჩმა გაუვალი ზონის აშენება ბრძანა, დინამოელებმაც ამ დავალებასაც კარგად გაართვეს თავი და კონტრშეტევებზეც ხეირობდნენ. ამასობაში „დინამომ" 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და მეტსაც მიაღწევდა, ჭეიშვილს წუთშესვენება რომ არ აეღო.

ტექნიკოსებმა თამაში დაალაგეს, უფრო სწორად, „დინამოს" სწრაფ ტემპს აუწყვეს ფეხი და ირაკლი შანიძის გარღვევების შემდეგ პირველი ტაიმის მიწურულს ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირეს.

შესვენებიდან დაბრუნებული სტუდენტები წინაც გაიჭრნენ, თუმც შემდეგ „დინამო" ისევ ამოქმედდა, ოღონდ იარაღად არა კონტრშეტევები, არამედ სამქულიანები მოიმარჯვა. შორიდან ერთი მეორეს მიყოლებით დასცხეს ლაშა ლოსაბერიძემ, ლექსო დაფანაშვილმა და რევაზ დიდიამ, რასაც „დინამოს" კვლავ ათი ქულით გალიდერება მოჰყვა — 67:57.

ტექნიკოსები ამჯერად ზვიად მიქაძემ იხსნა, რომელმაც მიჯრით განახორციელა რამდენიმე უსწრაფესი შეტევა და ბოლო მეოთხედის წინ სტუ ორ ქულასლა აგებდა.

შესვენების შემდეგ თამაში სრულიად გათანაბრდა, გუნდები კუდში მისდევდნენ ერთმანეთს და ასე მივიდნენ ძირითადი დროის ბოლო წუთამდე.

...სირენამდე 28 წამით ადრე ლოსაბერიძემ ორი საჯარიმო სროლა ჩააგდო და „დინამო" 3 ქულით დააწინაურა. ამ ცაიტნოტში სტუ დილემის წინაშე დადგა — ბურთიან დროის ამოწურვამდე უნდა გაეთამაშებინა და სამიანი ბოლოსდა ესროლა, ან სწრაფად შეეტია და დინამოელთა მომდევნო იერიშის მოგერიების იმედად ყოფილიყო. ტექნიკოსებმა მეორე ვარიანტი ირჩიეს და შანიძემ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა.

„დინამოს" საკმაო დრო ჰქონდა შესატევად, მაგრამ ვინ აცადა — დავით ბერიშვილი ლაშა ლოსაბერიძეზე დაჯარიმდა და ამ უკანასკნელმა ბრაიკოვიჩელთა სამწუხაოდ ორივე სროლა გააცუდა. ბოლო შეტევა ქულით ჩამორჩენილ სტუს-ს დარჩა და გოგობერიშვილის მახვილგონივრული პასი რომ არა, ტექნიკოსები ალბათ თასის გარეშე დარჩებოდნენ. ასე კი „გოგობერამ" ფარს მარტო შეატოვა შანიძე, რომელზეც, ცხადია, დაჯარიმდნენ და სტუ-ს ფორვარდმაც მხოლოდ ერთის ჩაგდება შეძლო. ოვერტაიმი კი სრულიად ტექნიკოსთა უპირატესობით წარიმართა და მათი ტრიუმფით, დადიანის თასის მიჯრით მეორედ აწევით დასრულდა.

## დუდუ დადიანის მემორიალი

**მე-7 ადგილისთვის**

**მაკაბი 92:45 ბურჯი**

25:13 20:12 23:16 24:4

**მაკაბი:** ნინოშვილი (8), ბადრიძე (10), წულაია (2), პერტენავა, ურგებლიძე (7), ენუქიძე, გვარამაძე (20), ფიცხელაური, ვაშაკიძე (25), კირკიტაძე (3), ნინიაშვილი (2), კონჯარია (13)

**ბურჯი:** ქუჯაიძე (11), ფეიქრიშვილი, სეხნიაშვილი (4), პაპუნაშვილი (7), ნუცუბიძე (7), აკოლაშვილი (3), დოლმაზაშვილი (11), მ. შერმადინი, ს. შერმადინი, ზამბახიძე, ქისტაური (2)

**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**მე-3 ადგილისთვის**

**დევონი 73:59 თუჯი**

19:18 19:16 16:17 19:8

**დევონი:** ახკეროვი, ი. ბერიშვილი (17), ფაშაევი (5), ტროშინი, ანოხინი (2), მატიუშენკო, პამიდზადე, იუსუპოვი (2), მუშკუდიანი (10), იმნაძე (23), ბახშიევი (14)

**თუჯი:** ტყეშელაშვილი (5), ტაბატაძე, არწივიძე (3), დანელიანი (10), ჩაჩუა (13), მურჯიკნელი (4), ბოისა (4), ლიპარტელიანი (6), ჭოჭუა (14)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**მე-5 ადგილისთვის**

**თსუ 83:74 სსუ**

21:21 18:18 22:6 22:29

**თსუ:** გაფრინდაშვილი (11), ი. მაისურაძე (5), ფანჩულიძე (14), ლეჟავა (15), მარხვაშვილი (7), ვეფხვაძე (6), ბაქრაძე (11), ლომიძე (4), ბერაია (2), კოკოლიშვილი (6), ხიზანიშვილი (2)

**სსუ:** პატარაია (9), ჩიტაშვილი (26), ურიდია (7), ქვილითაია (5), გოლეთიანი (5), მ. ბერიშვილი (10), მეტრეველი (12)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ფინალი**

**სტუ 109:102 დინამო**

ძირითადი დრო 89:89

27:30 21:22 22:20 19:17 20:13

**სტუ:** დ. ბერიშვილი (18), გაგნიძე (8), გოგობერიშვილი (22), მიქაძე (22), შანიძე (31); პირველაშვილი (5), დევიძე (3)

**დინამო:** გამყრელიძე (14), ხეცურიანი (21), ლოსაბერიძე (29), დიდია (12), სუხიშვილი (5); ლაფანაშვილი (11), ჯანეზაშვილი (4), ბექაური, კვიმსაძე (3), ვ. მაისურაძე (3)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი



„სტუ-ჯეოსელის" ტრავმირებული კაპიტანი ალეკო დავითულიანი და დუდუ დადიანის ძმიშვილი სანდრო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge